

## კავკასიის უნივერსიტეტის

### სკოლის მრჩეველთა საბჭოს

#### დ ე ბ უ ლ ე ბ ა

#### 1. ზოგადი დებულებები

1.1 წინამდებარე დებულება ეფუძნება „კავკასიის უნივერსიტეტი“-ს დებულებას და კავკასიის უნივერსიტეტის სკოლების დებულებებს;

1.2 კავკასიის უნივერსიტეტის სკოლების მრჩეველთა საბჭოს დებულება (შემდგომში "სკოლის მრჩეველთა საბჭოს დებულება" ან „დებულება“) განსაზღვრავს მრჩეველთა საბჭოს (შემდგომში "სკოლის მრჩეველთა საბჭოს") შექმნისა და საქმიანობის წესს, უფლებამოსილებას და რეკომენდაციათა შემუშავების პროცედურებს;

1.3 სათანადო წესით დამტკიცებული წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს მრჩეველთა საბჭოს შექმნისა და საქმიანობის ნორმატიულ საფუძველს.

#### 2. სკოლის მრჩეველთა საბჭო

2.1 სკოლების საქმიანობის საზოგადოებისათვის მაქსიმალურად სარგებლიანობის, გამჭვირვალეობის, საჯაროობისა და დემოკრატიული პრინციპით წარმართვის უზრუნველყოფის მიზნით იქმნება სკოლის მრჩეველთა საბჭო;

2.2 სკოლის მრჩეველთა საბჭო მოქმედებს საზოგადოებრივ საწყისებზე, ანაზღაურების გარეშე და ხელმძღვანელობს უნივერსიტეტის დებულებითა და წინამდებარე დებულებით;

2.3 სკოლის მრჩეველთა საბჭო შედგება არაუმეტეს 15 წევრისაგან;

2.4 სკოლის მრჩეველთა საბჭოს შემადგენლობაში შედიან: სკოლის პროფილის ავტორიტეტული წარმომადგენლები, საზოგადოებისა და სკოლის საქმიანობით დაინტერესებული წარმომადგენლები, კურსდამთავრებულები. განსახილველი საკითხებიდან გამომდინარე სხდომაზე შეიძლება მოწვეულნი იყვნენ უნივერსიტეტის შესაბამისი თანამშრომელ(ებ)ი, სპეციალური წევრის სტატუსით არა სათათბირო ხმის უფლებით.

2.5 სკოლის მრჩეველთა საბჭოს წევრი არ შეიძლება იყოს უნივერსიტეტის ადმინისტრაციის წარმომადგენელი;

2.6. სკოლის მრჩეველთა საბჭოს შემადგენლობას, დეკანის წარდგინებით, ამტკიცებს უნივერსიტეტის პრეზიდენტი.

2.7. მრჩეველთა საბჭოს წევრთა შემადგენლობის ცვლილება/განახლება შესაძლებელია სკოლის დეკანის ან/და უნივერსიტეტის პრეზიდენტის ინიციატივით. განახლებული შემადგენლობა მტკიცდება უნივერსიტეტის პრეზიდენტის ბრძანებით.

2.8. მრჩეველთა საბჭოს შემადგენლობის ცვლილების საჭიროება შეიძლება დადგეს იმ შემთხვევაში, თუ:

- საბჭო გახდა ქმედუუნარო, არააქტიური და არ ასრულებს წინამდებარე დებულებით განსაზღვრულ უფლებამოსილებებს;

- საბჭოს წევრი სისტემატურად აცდენს და არ ესწრება საბჭოს სხდომებს;

- საბჭოს წევრი/წევრები დატოვებენ საბჭოს საკუთარი სურვილით.

2.9. საბჭოს წევრს შეუძლია ნებისმიერ დროს გავიდეს საბჭოდან, რის შესახებაც იგი, გასვლამდე მინიმუმ ერთი თვით ადრე წერილობითი სახით მიმართავს სკოლის დეკანს.

2.10. სკოლის მრჩეველთა საბჭოს დებულება დასამტკიცებლად წარედგინება მმართველ საბჭოს, რომელიც დებულებას ამტკიცებს დადგენილებით.

2.11. სკოლის მრჩეველთა საბჭო უფლებამოსილია შეიმუშავოს სკოლის მრჩეველთა საბჭოს დებულებაში შესატანი ცვლილების პროექტი. პროექტის საბოლოო რედაქციის მიღება და დასამტკიცებლად წარდგენა ხორციელდება წინამდებარე დოკუმენტის 2.10 პუნქტით გათვალისწინებული წესით. სკოლის მრჩეველთა საბჭოს მიერ მიღებული ცვლილებები და/ან დამატებები დებულების ნაწილი ხდება და კანონიერ ძალაში შედის მმართველი საბჭოს მიერ დამტკიცების შემთხვევაში.

### **3. მრჩეველთა საბჭოს უფლებამოსილებანი**

3.1 სკოლის მრჩეველთა საბჭო ეროვნულ და საერთაშორისო სტანდარტებზე დაფუძნებული, ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე, საზოგადოების მოთხოვნილებების შესაბამისი საგანმანათლებლო და სამეცნიერო საქმიანობის ეფექტურად განხორციელების გარანტორია, ის:

ა) შეიმუშავებს წინადადებებს სკოლის მისიისა და განვითარების სტრატეგიული გეგმის გაუმჯობესებისა და ეფექტურად განხორციელებისათვის;

ბ) შეიმუშავებს რეკომენდაციებს სკოლის საგანმანათლებლო პროგრამების ეროვნულ და საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით;

გ) უზრუნველყოფს საქართველოში განსაკუთრებული პროფესიული კვალიფიკაციის მაღალი სამეცნიერო და პედაგოგიური პოტენციალის მქონე კადრების მოზიდვას;

დ) შეიმუშავებს წინადადებებს საქართველოსა და უცხოეთის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებსა და უნივერსიტეტს შორის პარტნიორული ურთიერთობის ჩამოსაყალიბებლად და არსებული ურთიერთობების გასაღრმავებლად;

ე) უნივერსიტეტს ხელს უწყობს შესაბამის კერძო/სახელმწიფო ორგანოებთან ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის გაფორმებაში;

ვ) შეიმუშავებს წინადადებებს სკოლის სასწავლო წლის სამუშაო გეგმის შექმნასთან დაკავშირებით;

ზ) შესაძლებლობის ფარგლებში მონაწილეობს სკოლის შესაბამისი პროექტებისთვის დაფინანსების წყაროების მოძიებაში;

თ) ადმინისტრაციისადმი სხვადასხვა სახის წინადადებებისა და რეკომენდაციების მიწოდებით ხელს უწყობს სკოლის მისიის, დასახული მიზნისა და სტრატეგიული გეგმის რეალიზაციის პროცესს;

ი) შეიმუშავებს წინადადებებს სკოლის პროგრამების აკრედიტაციის წარმატებით გავლის მიზნით;

კ) განიხილავს სკოლის დეკანის ინიციატივით დღის წესრიგში შეტანილ ნებისმიერ საკითხს.

#### **4. სკოლის მრჩეველთა საბჭოს საქმიანობის წესი**

4.1 სკოლის მრჩეველთა საბჭოს სხდომები მოიწვევა წელიწადში ერთხელ;

4.2 სკოლის მრჩეველთა საბჭოს სხდომას იწვევს საბჭოს თავმჯდომარე.

4.3 სკოლის მრჩეველთა საბჭოს სხდომისა და სხდომის დღის წესრიგის თაობაზე წერილობით (მათ შორის, ელექტრონული სახით) ეცნობებათ საბჭოს წევრებს სხდომის გამართვამდე არაუგვიანეს 7 (შვიდი) კალენდარული დღისა. საბჭოს წევრები უფლებამოსილი არიან შენიშვნები, რეკომენდაციები და წინადადებები წარმოადგინონ წერილობითი სახით (ელექტრონული სახით) საბჭოს სხდომის დღის წესრიგის თაობაზე აღნიშნული შეტყობინების მიღებიდან არაუგვიანეს 3 (სამი) დღისა; სკოლის მრჩეველთა საბჭოს სხდომის რეგლამენტთან დაკავშირებით, საბჭოს წევრთა მიერ გამოთქმული შენიშვნების, რეკომენდაციებისა და წინადადებების გათვალისწინების საკითხს წყვეტს თავმჯდომარე;

4.4 სკოლის მრჩეველთა საბჭოს წევრთა შუამდგომლობის საფუძველზე (საკმარისია საბჭოს ერთ-ერთი წევრის შუამდგომლობაც) შესაძლებელია სკოლის მრჩეველთა საბჭოს რიგგარეშე სხდომის მოწვევა. რიგგარეშე სხდომის მოწვევის თაობაზე შუამდგომლობის საკითხს წყვეტს თავმჯდომარე.

4.5 სკოლის მრჩეველთა საბჭოს სხდომა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება საბჭოს წევრთა სრული შემადგენლობის ნახევარზე მეტი;

4.6 სკოლის მრჩეველთა საბჭო რეკომენდაციებს შეიმუშავებს სხდომაზე დამსწრე წევრთა ხმათა უმრავლესობით. საბჭოს თითოეული წევრი სარგებლობს ერთი ხმის უფლებით. ხმების თანაბრად გაყოფის შემთხვევაში გადამწყვეტია სხდომის თავმჯდომარის ხმა;

4.7 სკოლის მრჩეველთა საბჭოს წევრებს უფლება აქვთ თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში მიიღონ ინფორმაცია სკოლის პასუხისმგებელი პირებისაგან მათთვის მინდობილი საქმიანობის შესახებ;

4.8 სკოლის მრჩეველთა საბჭოს სხდომაზე მოწვეულ სპეციალურ წევრთა ინფორმირებას და გამოცხადებას უზრუნველყოფს სხდომის მდივანი თავმჯდომარის დავალებით.

## **5. სკოლის მრჩეველთა საბჭოს თავმჯდომარე**

5.1 სკოლის მრჩეველთა საბჭოს თავმჯდომარე აირჩევა 3 წლის ვადით საბჭოს წევრთა მიერ ამავე საბჭოს შემადგენლობიდან დამსწრეთა უმრავლესობით;

5.2 სკოლის მრჩეველთა საბჭოს თავმჯდომარე ამავდროულად უფლებამოსილების ვადის ფარგლებში სკოლის საბჭოს სრულუფლებიანი წევრია;

5.3 თავმჯდომარე ამოწმებს სკოლის მრჩეველთა საბჭოს სხდომის უფლებამოსილებას და წარმართავს საბჭოს სხდომას რეგლამენტის შესაბამისად;

5.4 თავმჯდომარე უფლებამოსილია საკუთარი ინიციატივით მოიწვიოს მრჩეველთა საბჭოს რიგგარეშე სხდომა ან/ საბჭოს განსახილველად წარუდგინოს რეგლამენტით გაუთვალისწინებელი საკითხები;

5.5 მრჩეველთა საბჭოს სხდომაზე თავმჯდომარე სარგებლობს გადამწყვეტი ხმის უფლებით;

5.6 თავმჯდომარე უფლებამოსილია ერთპიროვნულად გამოითხოვოს ნებისმიერი ინფორმაცია სკოლის საქმიანობის თაობაზე. სკოლის ადმინისტრაციის წევრები ვალდებული არიან უზრუნველყონ მრჩეველთა საბჭოს თავმჯდომარისათვის აღნიშნული ინფორმაციის მიწოდება;

5.7 თავმჯდომარე უფლებამოსილია სისტემატურად მიიღოს ინფორმაცია სკოლის მრჩეველთა საბჭოს რეკომენდაციების საფუძველზე განხორციელებულ ღონისძიებათა შესახებ.

5.8. სკოლის მრჩეველთა საბჭოს თავმჯდომარე სათათბირო ხმის უფლებით შესაძლოა დაესწროს სკოლის საბჭოს სხდომ(ებ)ას.

## **6. სკოლის მრჩეველთა საბჭოს სხდომის ოქმი**

6.1 სკოლის მრჩეველთა საბჭოს რეკომენდაცია (წინადადება) აისახება სხდომის ოქმში;

6.2 სხდომის მდივანს საბჭოს წევრებიდან ირჩევს სკოლის მრჩეველთა საბჭოს თავმჯდომარე.

6.3 მრჩეველთა საბჭოს სხდომის ოქმი მომზადებული და ხელმოწერილი უნდა იქნეს არაუგვიანეს სხდომის დამთავრების დღიდან 7 დღის ვადაში. სხდომის ოქმს ხელს აწერს სხდომის თავმჯდომარე და მდივანი;

6.4 სხდომის ოქმზე ხელის მოწერიდან 5 დღის ვადაში საბჭოს წევრები უფლებამოსილნი არიან გაეცნონ სხდომის ოქმს და გააკეთონ შენიშვნები ოქმში შეტანილ ინფორმაციასთან დაკავშირებით;

6.5 ოქმში შეტანილ ყველა ცვლილებას, დამატებასა და შესწორებას უკეთდება შენიშვნა და მოწმდება ოქმზე ხელის მომწერ პირთა მიერ;

6.6 სხდომის მდივანს შეუძლია ოქმის შედგენისათვის გამოიყენოს შესაბამისი ტექნიკური საშუალება, რომელთა მეშვეობით ჩანაწერებიც ოქმს თან ერთვის.

## **7. სკოლის მრჩეველთა საბჭოს მიერ შემუშავებული წინადადებების სავალდებულოობა**

7.1 სკოლის მრჩეველთა საბჭოს მიერ შემუშავებულ წინადადებებს აქვს სარეკომენდაციო ხასიათი;

7.2 სკოლის მრჩეველთა საბჭოს რეკომენდაციები/წინადადებები სისტემატურად ეცნობება შესაბამისი სკოლის საბჭოს;

7.3 სკოლის საბჭოები უფლებამოსილნი არიან მიიღონ ქმედითი ზომები სკოლის მრჩეველთა საბჭოს რეკომენდაციათა აღსრულების უზრუნველსაყოფად.